



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 56  
07/08/2019

56-06-4-201908071451



### ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია:
  - ა) უზრუნველყოს 2019 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულება როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯების ნაწილში.
  - ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.
  - გ) მკაცრად იქნეს დაცული და განხორციელდეს ა(ა)იპ-ებში ხარჯების ოპტიმიზაცია. უზრუნველყოფილი იქნეს მათი ფუნქციონირება დაგეგმილი ბიუჯეტის ფინანსური უზრუნველყოფით წლის განმავლობაში დამატებითი ხარჯების ბიუჯეტიდან სუბსიდირების გარეშე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო